

AGRO NEWS GEORGIA

ბლიც-გამოკვლევა: რუსული ბაზრის წილი ქართველი მეღვინეების ექსპორტში 2013 წელს

„სარკემ“ მოაწყო გამოკითხვა ქართულ კომპანიებში რუსეთის ექსპორტთან დაკავშირებით. ეს კომპანიებია „სარაჯიშვილი“, „მატო მუხრანი“, „თელიანი ველი“, „თბილღვინო“, „შუმი“, „ქინძმარაული“, „ბადაგონი“, „დუგლაძის ღვინის კომპანია“ და „ხარება“.

„სარაჯიშვილი“: ექსპორტზე ახლახანს გავიტანეთ ჩვენი პირველი პარტია რუსეთში - დაახლოებით 100 000 ბოთლი ღვინო. აქამდე ჩვენ არ გავაკეთეთ ეს, რადგანაც გვაქვს სხვა დივერსიფიცირებული ბაზრები და არ გვინდა, რომ რუსეთის ბაზარზე შევიდეთ ამ ბაზრების ხარჯზე. 2013 წელს ინვესტიცია გავაკეთეთ წარმოების გაზრდაში, გავაშენეთ ვენახი, ხელახლა აღვჭურვეთ საწარმოები და ა.შ. საერთო ჯამში, ჩვენ ექსპორტზე 1,5 მლნ ბოთლი ღვინო 2013 წელს ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გავიტანეთ. ასევე გვაქვს ზრდა ჩინეთის ბაზარზე და არ გამოვრიცხავთ, რომ მისი წილი 2 წელიწადში სხვა ბაზრებზე წილს გადააჭარბებს, რუსეთის გარდა. 2014 წელს ვფიქრობთ, რომ მთლიანი ექსპორტის 35-40% გადაეცემა რუსულ ბაზარს, სადაც წარმოდგენილი ვიქნებით საშუალოზე მაღალი ფასის სეგმენტში.

„მატო მუხრანი“: ექსპორტს რუსეთში უკვე 2013 წლის ივლისიდან ვაწარმოებთ. მიწოდება აღემატება 2 მილიონ ბოთლს და ჩვენი საერთო ექსპორტის 40%-ს შეადგენს. 2014 წელს ველით, რომ რუსეთი დაიკავებს 30-40%-ს მთლიან ექსპორტში. რუსულ ბაზარზე წარმოდგენილი ვართ საშუალო და მაღალი ფასის სეგმენტებში - საცალო ფასი მერყეობს 8,5-29 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო ადგილობრივი ღირებულებაა 3-13 აშშ დოლარი. 2013 წელს წარმოებული გვაქვს ჯამში 5 მილიონი ბოთლი ღვინო, პროდუქციის მოცულობა იზრდება 30%-ით წლიდან წლამდე.

„თელიანი ველი“: ღვინის ექსპორტი რუსეთში გასული წლის ოქტომბერში დავიწყეთ და მას შემდეგ ამ ბაზარზე მოდის ჩვენი მთლიანი ექსპორტის 5-6%. რუსეთის ბაზარზე პროდუქცია წარმოდგენილია პრემიუმ სეგმენტში. 2014 წელს ჩვენ ვგეგმავთ გავაგრძელოთ მუშაობა რუსულ ბაზარზე, მაგრამ რუსეთის წილი არ უნდა აღემატებოდეს ჩვენი მთლიანი ექსპორტის 20-25%-ს.

„თბილღვინო“: 2013 წლის აგვისტოდან მიწოდება რუსეთში უკვე 800 000 ბოთლია, რაც ჩვენი მთლიანი ექსპორტის 20%-ია. ძირითადად მოთხოვნა არის წითელ ღვინოზე, განსაკუთრებით წითელ ნახევრადტკბილზე. ექსპორტის უდიდესი წილი რუსეთში არის დაბალი და საშუალო ფასის სეგმენტებში, ჩვენი ღვინოები ღირს 3-18 აშშ დოლარის ფარგლებში თითო ბოთლზე. 2012 წელთან შედარებით ექსპორტის ზრდამ 2013 წელს შეადგინა 30-32%. გაყიდვების ზრდა დაფიქსირდა უკრაინაში, ყაზახეთში, პოლონეთში და ა.შ. საერთო ჯამში, რუსეთის გარდა, ჩვენ ღვინის ექსპორტს ვაწარმოებთ 28-29 ქვეყანაში, მათ შორისაა - ბალტიისპირეთის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, კანადა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, ფინეთი, და ა.შ. რაც შეეხება ფინანსურ მოგებას, ჩვენ ველით, რომ 2013 წელს ზრდა იქნება 18-20% 2012 წელთან შედარებით.

„შუმი“: ვაწარმოებთ ექსპორტს რუსეთში ბაზრის გახსნიდან. საერთო ჯამში, ჩვენ რუსეთში 180 000 ბოთლი გავიტანეთ, რაც 1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. რუსულ ბაზარზე წარმოდგენილი ვართ საშუალოზე მაღალი ფასის სეგმენტში - ჩვენი ღვინის საცალო ფასი მერყეობს 10-30 აშშ დოლარის ფარგლებში თითო ბოთლზე. რუსეთზე მოდის ჩვენი მთლიანი ექსპორტის 30-35%, მაგრამ შევინარჩუნეთ პრიორიტეტი უკრაინაში, სადაც გვაქვს დიდი გაყიდვები, ასევე, ყაზახეთში და მოლდოვაში. 2013 წელს მთლიანი ექსპორტი თითქმის გაორმაგდა 2012 წელთან შედარებით. 2014 წელს ვფიქრობთ, რომ გაყიდვები 1,5 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს.

„ქინძმარაული“: ვგეგმავთ ექსპორტის დაწყებას რუსეთში თებერვალში. 2014 წელს ვგეგმავთ, რომ გავიტანოთ ამ ბაზარზე 900 000 ბოთლამდე ღვინო, რაც ჩვენი მთლიანი ექსპორტის 30%-ია. რუსულ ბაზარზე წარმოდგენილი ვიქნებით საშუალო სეგმენტში, ღვინის ღირებულება 3-5 აშშ დოლარია თითო ბოთლზე. რუსეთის გარდა, ჩვენ ვყიდით პროდუქციას 15 ქვეყანაში, მათ შორისაა - უკრაინა, აშშ, კანადა, იაპონია. ვაპირებთ, რომ წელს ვაწარმოოთ 2,5 მილიონი ბოთლი.

„ბადაგონი“: ექსპორტს რუსეთში ვაწარმოებთ ივნისის ბოლოდან, წარმოდგენილი ვართ ბაზარზე საშუალო სეგმენტით - ჩვენი ღვინის ღირებულება 2,5-3 აშშ დოლარის ფარგლებშია თითო ბოთლზე. ჩვენ არ ვართ მიზნული რუსულ ბაზარზე. წელს, ვგეგმავთ 5-6 მილიონი ბოთლის გაყიდვას რუსეთში, ბელორუსიაში, ჩინეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, უკრაინაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

„დუგლამის ღვინის კომპანია“: პირველი პარტია რუსეთში გავიტანეთ ივნისში. საერთო ჯამში, ამ ბაზარზე მოდის ჩვენი ექსპორტის 80-82%. რუსულ ბაზარზე თითქმის თანაბრად წარმოდგენილი ვართ ეკონომიურ და პრემიუმ სეგმენტებში 22 დასახელების ღვინით და 6 კონიაკით. 2013 წელს ჩვენი ბრუნვა გაიზარდა 200-300%-ით წინა წელთან შედარებით.

„ხარება“: ექსპორტზე გავიტანეთ პირველი პარტია რუსეთში (30 000 ბოთლი) მხოლოდ რამდენიმე დღის წინ. ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორი იქნება ექსპორტი რუსეთში, მაგრამ ვგეგმავთ რუსეთის ბაზარზე სერიოზულად შევიდეთ. წარმოდგენილი ვიქნებით საშუალო და ზედა სეგმენტებში, მაგრამ არ შეგვიძლია მივუთითოთ საცალო ფასი. რუსეთის გარდა, ჩვენი ღვინის ექსპორტი ხდება ევროპაში, ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში. ვმუშაობთ სერიოზულად ამერიკის ბაზარზე შესვლაზე. აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან დავითაშვილის სიტყვით, ყველა ქართული ღვინის კომპანია განახორციელებს ექსპორტს არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, გაყიდიან ღვინოს ადგილზე - დისტრიბუტორებზე და პარტნიორებზე.

DAILY NEWS, 14 თებერვალი, 2014.

აქტუალური თემა: ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში - 2013 წლის შედეგები

გასულ წელს რუსეთმა მოხსნა ემბარგო ქართულ იმპორტზე, რომელიც დაწესებული იყო 2006 წლიდან და ქართული ღვინო ხელახლა შევიდა რუსეთის ბაზარზე. ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი და WSET-ის (Wine & Spirit Education Trust) მე-3 დონის ექსპერტი გიორგი სამანიშვილი პასუხობენ „სარკის“ შეკითხვებს 2013 წლის შედეგებზე.

როგორ შეაფასებდით რუსული ბაზრის გახსნის მნიშვნელობას ქართული ღვინისთვის?
დავითაშვილი: ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ექსპორტი დიდი, 2-ჯერ აღემატება იმ მოცულობას, რაც დავგეგმეთ გასულ წელს, რაც ძალიან კარგია საწყის ეტაპზე. ქართულ ღვინოზე არის მოთხოვნა და მნიშვნელოვანია, რომ ეს ტენდენცია რუსულ ბაზარზე შენარჩუნებულ იქნას და არ შემცირდეს მოცულობა. ამასთან, მარკეტინგული სტრატეგია დივერსიფიკაციას ითვალისწინებს, ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ ზრდა და ასევე ავითვისოთ სხვა ბაზრებიც.

სამანიშვილი: როდესაც რუსეთმა დახურა ბაზარი ჩვენთვის 2006 წელს, იმ დროს ამ ბაზარზე მოდიოდა საქართველოს ღვინის ექსპორტის 87%, ხოლო 2013 წელს - 49 %. ჩემი პირადი სურვილი არის, რომ რუსეთის ბაზარი არ აღემატებოდეს საერთო გაყიდვების 30%-ს, რადგან სიტუაცია ამ ბაზარზე არ არის სტაბილური. ჯერჯერობით, ეს საკითხი არ არის განსახილველი, მაგრამ არ ვიცი, როდის შეიძლება დაიხუროს ეს ბაზარი სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო. **იყო ზრდა ღვინის ექსპორტში რუსეთის გარდა?**

დავითაშვილი: ზრდა რუსული ბაზრის გარდა იყო 10% საშუალოდ, მათ შორის 10-15% სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე. არსებობს შემცირება ზოგიერთ ბაზრებზე, მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩინეთში. თუმცა, ამ ბაზარზე 2012 წელს ექსპორტი გაორმაგდა, რადგან თითქმის ყველა კომპანიამ განახორციელა ერთჯერადი მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ შემცირებაა, ეს არის სტრატეგიული ბაზარი ჩვენთვის. იყო ძალისხმევა დიდ ბრიტანეთში, სადაც ჩვენ გვექონდა ზრდა 150%, რაც არ არის დიდი ციფრებში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის იმიჯის ბაზარი. გარდა ამისა, იყო აქტივობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიაში, პოლონეთში და ა.შ.

სამანიშვილი: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა თითქმის მთლიანად რუსეთის დამსახურებაა, სხვა ქვეყნებში, რუსეთის გარდა, ჩვენ ზრდა ასევე გვაქვს. აღსანიშნავია, რომ მწარმოებლებმა ღვინის ექსპორტი რუსეთში არ აწარმოეს სხვა ქვეყნების ხარჯზე, მათ გაყიდეს რუსეთში დამატებითი მოცულობა. **რა გზით და რა ფასად ხდება ღვინის ექსპორტი რუსეთში?**

დავითაშვილი: არა მარტო რუსეთთან, არამედ ყველა ბაზრებზე ერთი ფორმატი გვაქვს, მათ შორის ვრთავთ დისტრიბუტორებს და პარტნიორებს, რომლებიც იძენენ ღვინოს ადგილზე.

სამანიშვილი: ერთი ბოთლი (0,75 ლ) ექსპორტირებული ღვინის ფასია დაახლოებით 3 აშშ დოლარი, თუმცა ფასი ცოტა მაღალია რუსეთის შემთხვევაში, აქედან გამომდინარე, კომპანიას აქვს ცოტა მეტი მოგება, ვიდრე ევროპულ ბაზარზე. ამასთან, 3 აშშ დოლარად ექსპორტირებული ღვინო საქართველოდან რუსეთში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ღირს დაახლოებით 12-15 აშშ დოლარი. **რა შედეგებს ელოდებით 2014 წლის ბოლოსთვის?**

დავითაშვილი: ჩემი აზრით, ზრდა იქნება 10-15%-ის ფარგლებში. ნედლეულის ბაზა არ არის ულვეი და ჩვენ ვერ შექმნით ძალიან დიდი მოცულობის პროდუქციას სწრაფად. აუცილებელია გვექონდეს ნედლეულის საკმარისი ბაზა, საკმარისი ვენახები, რომლებიც იძლევა სარგებელს 3-4 წლის შემდეგ და ვენახების გაშენების ტენდენცია უკვე იყო 2013 წელს.

სამანიშვილი: რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება კომპანიის ბაზრები, უფრო სტაბილური იქნება გაყიდვები. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ცდუნება - ღვინო

რუსეთში იყიდება უფრო ადვილად და მიწოდებამ ამ მიმართულებით გადააჭარბა ჩემს მოლოდინს. თუმცა, თუ შევადარებთ მსოფლიოს წარმატებულ ბაზრებს, რუსეთში არ არის იმდენად მაღალი მოთხოვნა ხარისხზე და ეს ნეგატიურად აისახება ჩვენს ღვინოზე.

DAILY NEWS, 14 თებერვალი, 2014

სოფლის მეურნეობის მინისტრი: ვაშლის ექსპორტი გაოთხმაგდა წინა სეზონთან შედარებით

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ 2013 წელს „ვაშლის ექსპორტი გაოთხმაგდა“ წინა სეზონთან შედარებით. მოსავლის დაახლოებით 25-30% უკვე გადამუშავებულია, ხოლო დანარჩენი გაიყიდა „პიკის პერიოდში“ - იანვარში, თებერვალსა და მარტში, აღნიშნა მინისტრმა. უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის ინფორმაციით ვაშლის, კომშის და მსხლის ექსპორტმა 2013 წელს შეადგინა 395 200 აშშ დოლარი, გაიზარდა რა 53,7%-ით 2012 წლიდან.

DAILY NEWS, 14 თებერვალი, 2014.

შელავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში გაცემულმა სესხებმა 245 მლნ ლარი შეადგინა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შელავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში გაცემულმა სესხებმა 11 თებერვლისთვის შეადგინა 244,5 მილიონი ლარი. ამასთან, 45,8% (ანუ 111,87 მილიონი ლარი) გაიცა 5 685 ბენეფიციარზე მე-2 კომპონენტის ფარგლებში (კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის). მე-3 კომპონენტის ფარგლებში (სესხები უცხოური ვალუტით, გაცემული ახალი საწარმოების შესაქმნელად და არსებულის ტექნიკური გადაიარაღებისთვის) 33,5% (81,99 მლნ ლარის ექვივალენტი, გაცვლითი კურსი - 1,7309) - გაიცა 405 ბენეფიციარზე. 20,1% (49,09 მლნ ლარი) გაიცა მე-5 კომპონენტის ფარგლებში (ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების დაფინანსება). პირველი კომპონენტის ფარგლებში (უპროცენტო სესხები მცირე ფერმერებისთვის საქონლის სანაცვლოდ) 0,45% (ანუ 1,1 მლნ ლარი) გაიცა 2 685 ბენეფიციარზე, რომლებმაც უნდა გადაიხადონ ფული შემოდგომაზე. როგორც სამინისტროს პროექტის მართვის სააგენტოში განუცხადეს „სარკეს“, არ იყო ერთი შემთხვევაც კი სესხების დაფარვის პრობლემით. მე-6 კომპონენტის ფარგლებში 450 000 ლარი გაიცა 2 მანდარინის შესასყიდ საწარმოზე, რაც მთლიანი სესხის მხოლოდ 0,18 %-ია. აქამდე არავინ დაინტერესდა მე-4 კომპონენტით (ლიზინგი).

DAILY NEWS, 14 თებერვალი, 2014.

სოფლის მეურნეობის მინისტრი: ციტრუსის წარმოებამ შეადგინა 100 000 ტონა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ ციტრუსების წარმოების მოცულობამ 2013 წელს 100 000 ტ შეადგინა. 2012 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 40,6%-ით. ფიფიას თქმით, 60 000 ტ ციტრუსის ექსპორტი მოხდა რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, მოლდოვაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში. გარდა ამისა, ეობულეთის გადამამუშავებელ ქარხანაში უკვე გადამამუშავებულია 20 000 ტ. უნდა აღინიშნოს, რომ ფიფიას მოადგილემ დავით ნატროშვილმა განუცხადა „სარკეს“ იანვარის ბოლოს, რომ ციტრუსის მოსავალი უნდა აეღოთ ნოემბრის ბოლოსთვის. თუმცა, ეს არ მოხდა და მოსავლის დიდი ნაწილი დაიკარგა, განაცხადა მან.

DAILY NEWS, 13 თებერვალი, 2014.

სოფლის მეურნეობის მინისტრი: სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის კანონპროექტის შედგენა დასრულდება 2014 ბოლოსთვის

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია იმედოვნებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის კანონპროექტზე მუშაობა დასრულდება წლის ბოლოსთვის. სამინისტროს გარდა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს პარლამენტის აგრარული კომიტეტი და ქართული და უცხოური სადაზღვევო კომპანიები, განაცხადა ფიფიამ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გამართული იყო „საქართველოს მთავრობა - ღია მმართველობა“ ფარგლებში დღეს. ფიფიამ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა პირდაპირ უკავშირდება მიწის საკუთრების საკითხს, ახსნა რა, რომ ძნელია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაზღვევა იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც არ არის რეგისტრირებული.

DAILY NEWS, 13 თებერვალი, 2014.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დააარსებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს თებერვლის ბოლოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს „სარკეს“, რომ თებერვლის ბოლოს დაარსდება საჯარო სამართლის ახალი იურიდიული პირი - სამეცნიერო კვლევითი ცენტრი სამინისტროს დაქვემდებარებაში. მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი გადასცემს აღნიშნულ ცენტრს საკუთარ ფერმას, რომელიც მდებარეობს საგურამოში. საქმე ეხება ჯიდაურას სანერგეს, სადაც ვაზის და ხილის ნერგებია გაშენებული. როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, მოსალოდნელია, რომ ფერმა გადაეცემა ცენტრს უფასოდ. როგორც ფიფიამ განაცხადა, ცენტრის საქმიანობის პირველი შედეგები (სათესლე ფონდის კვლევა) ხელმისაწვდომი იქნება 2-3 წელში, რაც ქვეყანას საშუალება მისცემს ჰქონდეს პროდუქცია, მიღებული აპრობირებული მეთოდებით.

DAILY NEWS, 13 თებერვალი, 2014.

100 განაცხადი რეგისტრირებულია შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-7 კომპონენტის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ თითქმის 100 განაცხადი რეგისტრირებულია შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-7 კომპონენტის ფარგლებში. აქედან 30 განაცხადი უკვე განხილვის სტადიაშია, აღნიშნა ფიფიამ. ფიფია აცხადებს, რომ პროგრამის მონაწილე 11 ბანკი ჩართულია აღნიშნულ კომპონენტში. შეგახსენებთ, რომ მე-7 კომპონენტი განკუთვნილია ნაკლებად აქტიური რეგიონებისთვის (ანუ, სადაც სხვა კომპონენტებმა არ გამოიწვია რაიმე მნიშვნელოვანი ინტერესი). დაფინანსება იმ პროექტებისთვის, რომლებიც დამტკიცებულია ამ კომპონენტისთვის, შედგება შეღავათიანი სესხების და ლიზინგისგან (საერთო თანხის 50%), სახელმწიფო გრანტისგან (40%) და ბენეფიციართა თანადაფინანსებისგან (10%). დასაშვები პროექტის საერთო ღირებულება უნდა იყოს 200 000-დან 1 მილიონ დოლარამდე.

DAILY NEWS, 13 თებერვალი, 2014.

საქართველოს ვაზისა და ღვინის კვლევა უნდა ჩატარდეს

ღვინის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, რომ საქართველოს ვაზისა და ღვინის კულტურის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კვლევებს სფეროში, შემუშავებულია. კერძოდ, ჩატარდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქების ვაზის ანალიზი და შესწავლა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განუცხადა „სარკეს“, რომ თავდაპირველად დონორები პასიურად იყვნენ განწყობილი პროექტის დაფინანსებისადმი. თუმცა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ აპირებს დააფინანსოს პროექტი 400 000 ლარით, დონორი ორგანიზაციები ძალიან გააქტიურდნენ. მაგალითად, მოლაპარაკებები ამ საკითხზე მიმდინარეობს ევროკავშირთან, აღნიშნა მან. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივის შესახებ შეიქმნას ღვინის მუზეუმი თბილისში და დაწესდეს ქართული ღვინის დღე, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას. DAILY NEWS, 11 თებერვალი, 2014.

ხარისხის ლაბორატორია შეამოწმებს კვების პროდუქტებს გენმოდირეცირებული ორგანიზმების შემცველობის თვალსაზრისით

ხარისხის ლაბორატორია შეისწავლის ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების არსებობას კვების პროდუქტებში, მათ შორის თესლში, საქართველოს ტერიტორიაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის პირველი ასეთი აკრედიტებული ლაბორატორია საქართველოში. ლაბორატორიის დირექტორმა ირაკლი ჭკადუამ განუცხადა „სარკეს“, რომ დაახლოებით 300 000 ევრო ჩაიდო ლაბორატორიის შექმნაში. „თითოეული პროდუქტის ტესტირებას სჭირდება დაახლოებით 6-8 საათი“, ხოლო მომსახურების საფასური იქნება ინდივიდუალური თითოეული კომპანიისთვის, აღნიშნა მან. სურსათის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნეს, რომ კანონმდებლობის მიხედვით, მწარმოებელმა უნდა გაუკეთოს პროდუქტს ეტიკეტი ზუსტი შემადგენლობით. ეტიკეტირების წესების დარღვევის შემთხვევაში, ბიზნეს ოპერატორი დაჯარიმდება 400 ლარით პირველ შემთხვევაში და 1 200 ლარით, თითოეულ შემდეგ დარღვევაზე.

DAILY NEWS, 12 თებერვალი, 2014.

რუსული მედია: ქართული ღვინო „დაბრუნდა ტრიუმფით!“

რუსული მედიის შეფასებით ქართული ღვინო „დაბრუნდა ტრიუმფით!“ 6 თვის შემდეგ ემზარგოს გაუქმებიდან 14,79 მილიონი ლ იყო იმპორტირებული, რაც მთელი იმპორტის 5,45 %-ს და რუსეთის ბაზრის 2,42%-ს წარმოადგენს. რუსეთის ფედერალური და ადგილობრივი ღვინის ბაზრის კვლევის ცენტრის დირექტორი ვადიმ დრობიცი მიიჩნევს, რომ ასეთი წარმატების მიზეზი არის ის, რომ რუსეთის მომხმარებელი ერთგული დარჩა ქართული ღვინის და ბაზარზე პირდაპირი კონკურენტების ნაკლებობაა.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა ჭავჭავანიძის თქმით, ქართული ღვინო ღირს რუსულ ბაზარზე საშუალოდ 3,5 აშშ დოლარი. ჭავჭავანიძე ამბობს, რომ „ის კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ პრობლემები წარსულში ღვინის ექსპორტის სხვა ქვეყნებში, ახლა აქტიურად დაეუფლენ რუსულ ბაზარს“. ამავე დროს, ის მიუთითებს, რომ ჩინეთი გახდა ცოტა ხნის წინ ძალიან მიზიდველი ბაზარი ქართული ღვინისთვის. მისი თქმით, საქსტატის ცნობით, ღვინის ექსპორტი 2013 წელს მოხდა 46 ქვეყანაში, რამაც 46,8 მილიონი ბოთლი შეადგინა და

100%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ექსპორტის შემოსავალმა შეადგინა 231,8 მლნ აშშ დოლარი და გაიზარდა 68 მილიონი აშშ დოლარით. ECONOMIC PRESS MONITOR, 6 თებერვალი, 2014.

IFAD-ის მხარდაჭერით საქართველოში ახალი პროექტის „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარება“ განხორციელება იგეგმება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დღეს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ევროპის დეპარტამენტის დირექტორს ხალიდა ბუზაარს შეხვდა. ხალიდა ბუზაარი საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის გაცნობა და ახალი პროექტის – „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარება“ მომზადების პროცესის განხილვა. ფინანსთა მინისტრმა სტუმარს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით გასულ წელს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მიმდინარე წლის გეგმები გააცნო.

ასევე განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები. IFAD ფუნქციონირებს საქართველოში 1997 წლიდან. ამ პერიოდის განმავლობაში, ფონდის მიერ უკვე დაფინანსდა 4 პროექტი სოფლის მეურნეობაში 38,8 მილიონი აშშ დოლარით. DAILY NEWS, 7 თებერვალი, 2014.

EPI: ტექნიკური დახმარების შედეგად ციტრუსის მოსავალი 55%-ით გაიზარდა სამშალოდ

EPI-ის (USAID-ის მიერ დაფინანსებული ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა) წარმომადგენლები იტყობინებიან, რომ 3 000-მა ციტრუსის მწარმოებელმა გაიარა ტრენინგები პროექტის ფარგლებში. შედეგად, მათ მოახერხეს ციტრუსის მოსავალის 55%-ით გაზრდა სამშალოდ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 300%-ითაც. EPI-ს ექსპერტების თქმით, პროდუქტიულობა გაიზარდა 32-35 კგ თითო ხეზე 57 კგ-მდე სამშალოდ. EPI-ს პრესსპიკერმა თამარ რაზმაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არის 30 000 ციტრუსის მწარმოებელი. შეიქმნა ფერმერების 29 ჯგუფი, რომლებიც ხელს უწყობენ კოოპერატივების შექმნას. მან განაცხადა, რომ ფინანსური სქემა შეიქმნა ფერმერებისთვის, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ „კრედო“ მათზე გასცა ფაქტობრივად უპროცენტო კრედიტები. EPI-ს მიერ მოწვეულმა კალიფორნიელმა სპეციალისტმა სინდი ფეიქმა აღნიშნა, რომ უცხოურ ბაზრებზე ქართული მანდარინი ცნობილია, როგორც პატარა ზომის და მჭავე გემოს მქონე. როგორც ფეიქმა განუცხადა „სარკეს“, ეს გამოწვეულია ხეებისთვის საკვების ნაკლებობით და სიმწიფის არასაკმარისი პერიოდით. ფეიქმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ მანდარინის ადგილობრივი ფასი (1,35 ლარი 1 კგ-ზე) ბევრად აღემატება ექსპორტის ფასს (დაახლოებით 0,35 ლარი 1 კგ-ზე). მოსავალი იზრდება, მაგრამ გლეხი ვერ გაიტანს ექსპორტზე, თუ შემოსავალი არ იქნება საკმარისი, განაცხადა EPI-ს სპეციალისტმა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სწორი მარკეტინგი, შეფუთვა, ტრანსპორტირება და ა.შ. გარდა ამისა, ექსპორტის ზრდის პოტენციალი არ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი აღნიშნული არ გაკეთდა. DAILY NEWS, 31 იანვარი, 2014.

ღვინის კასრების წარმოება დაიწყება გურჯაანში თებერვალში

სს პროფესიული მეღვინეობის პროდუქცია აპირებს დაიწყოს კასრების წარმოება გურჯაანში (კახეთის რეგიონი) თებერვალში. შენობა უკვე აშენდა. პროფესიული მეღვინეობის პროდუქციის გენერალურმა დირექტორმა ვასილ კალანდაძემ განუცხადა „სარკეს“, რომ ქარხნის ასაშენებლად მათ ნასესხები აქვთ 600 000 აშშ დოლარი ბაზის ბანკისგან შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში, 1,2 მილიონი აშშ დოლარი კი ესპანელმა ინვესტორებმა დააბანდეს. კალანდაძის ინფორმაციით, ქარხანას შეუძლია აწარმოოს 10 000 კასრი წელიწადში, ძველი კასრების აღდგენის ჩათვლით. „ჩვენ უნდა მოვემსახუროთ 20 000 ტ ღვინის წარმოებას მინიმუმ“, აღნიშნა მან და დასძინა, რომ საწყის ეტაპზე საწარმო იქნება მხოლოდ საქართველოს ბაზარზე, თუმცა ექსპორტი სომხეთში ასევე განხილვის პროცესშია. დაახლოებით 10-20 დღის განმავლობაში 3 წლის ასაკის მუხის ხის მასალა ჩამოვა საფრანგეთიდან და აშშ-დან, ხოლო შემდეგ ჩვენ შემოვიტანთ მასალას იტალიიდან, განაცხადა კალანდაძემ. საფრანგეთში წარმოებული კასრები უჯდება ღვინის მწარმოებელს დაახლოებით 800 ევრო, ხოლო ჩვენი ეღირება დაახლოებით 600 ევრო, აღნიშნა მან.
DAILY NEWS, 29 იანვარი, 2014.

AGRO NEWS ARMENIA

2013 წელს სომხეთში გაიზარდა კარტოფილის ექსპორტი

სომხეთში ექსპორტზე გაიტანეს 22-ჯერ მეტი კარტოფილი, ვიდრე 2011 და 2012 წელს. ექსპორტირებული 23 ათას 503,8 ტონა კარტოფილის საერთო საბაჟო ღირებულებამ 2013 წელს გადააჭარბა 6,5 მილიონ აშშ დოლარს (დაახლოებით 115 დრამი ერთ კილოგრამზე). სომხეთის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით 2012 წელს 1 057,5 ტონა კარტოფილის ექსპორტირება მოხდა სომხეთიდან, ხოლო 2011 წელს - 901 ტონის. კარტოფილის იმპორტი შემცირდა დაახლოებით 20%-ით. 2013 წელს 4 000 ტონაზე მეტი კარტოფილი იქნა იმპორტირებული ჩვენს ქვეყანაში, ხოლო 2012 წელს - 5 000 ტონა. Armenpress იუწყება, რომ 2013 წელს ექსპორტირებული კარტოფილის ძირითადი ნაწილი შეიძინა საქართველომ (8 399,7 ტონა) და რუსეთმა (7 574,1 ტონა), ასევე ერაყმა, თურქმენეთმა, ირანმა და არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა. 2013 წელს კარტოფილის მოსავალი სომხეთში იყო 660 000 ტონა, 647 000 ტონა - 2012 წელს.

YEREVAN, 13 თებერვალი, ARMENPRESS.

არარატის კვების პროდუქტების კომპანიას გადაუვადეს დღგ-ს გადახდის ვადა დამატებითი 600 მილიონი დრამის ინვესტირების შემდეგ

არარატის კვების პროდუქტების კომპანიას ერევანში დღეს ხელისუფლების მიერ გადაუვადდა დღგ-ს გადახდა დამატებითი 600 მილიონი დრამის ინვესტიციის ჩადების შემდეგ წარმოების გაფართოებაში. ამგვარი გადავადების მიღების უფლება ეძლევათ იმ კომპანიებს, რომლებიც შემოიტანენ 300 მილიონი დრამის ღირებულების თანამედროვე ტექნიკას ან ტექნოლოგიებს წარმოების გასაფართოებლად და მოდერნიზაციისთვის. 2010 წელს კომპანიამ ინვესტიციის სახით 1,6 მილიარდი ჩადო ნატურალური წვენების საწარმოს დაარსებაში და შექმნა 100 სამუშაო ადგილი. ქარხანაში დამონტაჟებული ახალი ტექნიკის მეშვეობით კომპანიას შესაძლებლობა აქვს გადაამუშაოს პომიდორი, გარგარი, ატამი და ბოსტნეული მაღალი ხარისხის ნედლეულის მისაღებად

დაკონსერვებული პროდუქტებისთვის. არარატი აწარმოებს წვენებს და ნექტარს, ჩაის და დაკონსერვებულ პროდუქტებს. მისი ნაწარმის 80%-მდე იყიდება დსთ ქვეყნებში და ევროპაში არარატის, ლინას და ჯოსის ბრენდებით.

13 თებერვალი, ARKA.

სომხებს უყვართ ყავა, მაგრამ ძალიან ძვირი უჯდებათ ყოველდღიური რიტუალი

ყავის იმპორტი სომხეთის რესპუბლიკაში გაიზარდა 8,9 პროცენტით გასულ წელს 2012 წელთან შედარებით და ამგვარად მიაღწია 11 565 ტონას. ამავე დროს, იმპორტირებული ყავის საბაჟო ღირებულება შემცირდა 2 პროცენტით და ამგვარად გახდა 25,8 მილიონ აშშ დოლარი (დაახლოებით 900 დრამი 1 კგ-ზე). სომხეთის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი იყო 10 ათას 619 ტონა ყავა 2012 წელს. როგორც იუწყება Armenpress, ამავე დროს, ყავის ექსპორტის მოცულობა სომხეთის რესპუბლიკიდან შემცირდა 8,3 პროცენტით. სომხეთის რესპუბლიკიდან ექსპორტირებული იყო 1 233,9 ტონა ყავა გასულ წელს, ხოლო 2012 წელს - 1 346,1 ტონა. წინა წელს ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული ყავის 80 პროცენტზე მეტი ინდონეზიიდან არის. ყავის ექსპორტირება მოხდა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოში.

ერევანი, 13 თებერვალი, ARMENPRESS.

სომხეთში ხორცის ფასი მცირდება

2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქონლის და ცხვრის რაოდენობა გაიზარდა სომხეთის რესპუბლიკაში წინა წელთან შედარებით. ეს გარემოება გავლენას ახდენს ხორცის ფასზე ადგილობრივ ბაზარზე. სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ინფორმაცია მიაწოდა Armenpress-ს, რომ 2014 წელს ასევე არის ხორცის ფასების შემცირების ტენდენციები. 2013 წელთან შედარებით ძროხის ხორცის ფასი შემცირდა 100-150 დრამით, ღორის - 8-10%-ით და ცხვრის - 4-5 %-ით.

12 თებერვალი, ARMENPRESS.

სომხეთის ზამთრის ხორბალი გადაურჩა დეკემბრის ყინვებს - სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ზამთრის ხორბლის ნათესები არ დაზიანდა დაბალი ტემპერატურისგან გასული წლის დეკემბერში. ეს ინფორმაცია სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესამსახურმა გაავრცელა. 2013 წლის ბოლოს ტემპერატურა მინუს 16-20 გრადუსს ქვემოთ იყო წელს არარატის ველზე და მიმდებარე რეგიონებში რამდენიმე კვირის განმავლობაში. ნაადრევია შესაძლო ზიანის შეფასება, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ზამთრის ხორბლის ნათესები ძირითად ადგილებში არ დაზიანდა, რადგანაც მუდმივად თოვლის ქვეშ იყო ყინვის პერიოდში, ნათქვამია მოხსენებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, 2013 წელს მარცვლეულის მოსავალი სომხეთში იყო 544 200 ტონა, ზრდა არის 88 100 ტონა წინა წელთან შედარებით. ექსპერტები შემოფოთებული არიან შესაძლო დაზიანების გამო ვენახებში, სადაც ვაზის ყლორტებს არ იცავდა მიწა. აცხადებენ, რომ ატმის და ალუბლის ხეები შეიძლება ასევე დაზიანდა სეტყვისგან. სამინისტროს განცხადებით, საბოლოო ინფორმაცია დაზიანების შესახებ იქნება ხელმისაწვდომი ვაზის და ხილის ხეების აქტიური ზრდის პერიოდში.

13 თებერვალი, ARKA.

სომხეთში იზრდება კიბოს ექსპორტის მოცულობა

კიბოს ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკაში 2013 წელს გაიზარდა 2,5-ჯერ 2012 წელთან შედარებით და 4 300 ტონა შეადგინა. კიბოს მთლიანმა საბაჟო ღირებულებამ გადააჭარბა 15 მილიონ აშშ დოლარს. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით 2012 წელს 1 735,1 ტონა კიბოს ექსპორტი მოხდა სომხეთიდან. გასულ წელს მხოლოდ 39,2 ტონა კიბო იქნა იმპორტირებული რესპუბლიკაში. Armenpress იუწყება, რომ კიბოს ექსპორტის ძირითადი ნაწილი სომხეთიდან შეიძინა რუსეთის ფედერაციამ (3 871 ტონა). სომხეთიდან ექსპორტირებულია კიბო ასევე უკრაინაში, გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

ერევანი, 10 თებერვალი, ARMENPRESS.

სომხეთში თამბაქოს წარმოება გაიზარდა

სომხეთში რეგისტრირებულია თამბაქოს წარმოებისა და ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა 2013 წელს. 2013 წელს წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25,6%-ით. 2013 წელს 7 მილიარდ 729 მილიონ 500 ათასი ცალი სიგარეტი იქნა წარმოებული სომხეთში. 2012 წელს სიგარეტის წარმოება იყო 6 მილიარდ 155 მილიონი ცალი. სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში განუცხადეს Armenpress-ს ამის შესახებ. რესპუბლიკაში წარმოებული სიგარეტი ექსპორტზე გადის 20 ქვეყანაზე მეტში, მათ შორისაა ერაყი, თურქმენეთი, საქართველო, სირია, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ა.შ. წინა წლის უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში დაახლოებით 4,5 მილიარდი ცალი სიგარეტის ექსპორტი მოხდა სომხეთიდან.

4 თებერვალი, ARMENPRESS.

ტენდერები და განცხადებები

საგრანტო კონკურსი მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში

ქვემოთ იხილეთ ბმული გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში. ეს კონკურსი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სურსათის უვნებლობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროექტის ნაწილი და მას ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. განცხადების ტექსტი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე -

<http://www.epfound.ge/english/whats-new/announcements/grant-competition-to-establish-consumer-assistance-centers-.html>

კონკურსი - კვების პროდუქტების წლის საუკეთესო საწარმო - ბოლო ვადაა 14 მარტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის რეფორმაში საქართველოში“, კონტექსტში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი აწყობს კონკურსს კვების პროდუქტების წლის საუკეთესო საწარმო, რომელიც ღიაა ყველა სახის დიდი თუ მცირე ბიზნესისთვის კვების პროდუქტების ჯაჭვიდან (ფერმები, კვების პროდუქტების ქარხნები, საცალო მოვაჭრეები, რესტორნები ...). ჯილდოები გადაეცემათ მონაწილე კომპანიებს, რომლებიც შესაბამისობაში არიან სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უკვე მთლიანად სრულყოფილად ასრულებენ სურსათის

უვნებლობის სტანდარტებს. არამედ, რომ ისინი შედარებით უკეთეს პროდუქციას უშვებენ, ვიდრე სხვა მონაწილე კომპანიები). მონაწილე კომპანიები მიიღებენ უფასოდ მათი კვების პროდუქტების უვნებლობის შეფასებას ექსპერტებისგან (რაც იქნება კონფიდენციალური), ჩატარდება ექსპერტთა ვიზიტები და გაცემული იქნება რეკომენდაციები, მოხდება შერჩევა და ა.შ. ასე რომ, თუნდაც კომპანიამ ვერ გაიმარჯვოს, ის მაინც ისარგებლებს ამ შეფასებით უფასოდ და სრულიად კონფიდენციალურად. აქვე თანდართულია კონკურსის დეტალური პირობები ქართულ ენაზე. ბოლო ვადაა 14 მარტი. დამატებითი შეკითხვებით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ვახტანგ კობალაძე, პროგრამის უფროსი მენეჯერი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. მისამართი: კავსადის ქუჩა #3, მე-2 სართული, თბილისი 0179, საქართველო.

ტელ./ფაქსი: (995 32) 225 39 42/43 Web-site: www.epfound.ge E-mail: vkobaladze (at) epfound.ge

გამოცემები და სხვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის თებერვლის გამოცემას გაეცანით ამ მისამართზე.

<http://agrogeorgia.blog.com/>

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თბილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ.

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ინფორმაცია და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე.

DWV Agro Blog

გთხოვთ იხილოთ ჩვენი AGRO BLOG სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე agro@georgien.ahk.de

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. <http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>
<http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/>